პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 23 ივლისი, 1944 წ. № 149 (7092). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ როკოსოვსკის

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა დღეს, 22 ივლისს, თერეშით დაიკავეს ქალაქი და დიდი სარკინიგზო კვანძი ხელმი (ხოლმი) — გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი ლიუბლინის მიმართულებით.

ქალაქ ხელმის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ კოლპაკჩის, გენერალ-მაიორ ვოლკოვის, გენერალ-მაიორ ბარინოვის, გენერალ-მაიორ მოისეევსკის, პოლკოვნიკ კორსუნის, გენერალ-მაიორ მარცინკევიჩის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ გორბუნოვის, პოლკოვნიკ ეფიმოვის, პოლკოვნიკ ზაბელოს, პოლკოვნიკ უშაკოვის, პოლკოვნიკ ზნაჩენკოს არტილერისტებმა; პოლკოვნიკ ტიხონჩუკის, პოდპოლკოვნიკ ტიმჩენკოს, მაიორ კორშუნოვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ პოლინინის, ავიაციის გენერალ-მაიორ ტოკარევის, პოლკოვნიკ ბორისენკოს, პოლკოვნიკ ბრაშჩენკოვის, პოლკოვნიკ კალინინის, პოდპოლკოვნიკ სმირნოვის მფრინავებმა; ტექნიკური ჯარების გენერალ-მაიორ შაპიროს, პოლკოვნიკ სვადკოვსკის მესანგრეებმა; პოლკოვნიკ მაძაროვის, პოლკოვნიკ სტუპაჩენკოს, პოდპოლკოვნიკ ვაკინის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ ხელმის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 22 ივლისს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი ხელმი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ ხელმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 22 ივლისი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ბაგრამიანს

ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის ჯარებმა ქვეითი ჯარისა და სატანკო შენაერთების სწრაფი იერიშის შედეგად, დღეს, 22 ივლისს, დაიკავეს ქალაქი და კომუნიკაციების დიდი კვანძი პანევეჟისი (პონევეჟი) — გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი, რომელიც იფარავს ბალტიისპირეთიდან აღმოსავლეთ პრუსიისაკენ მიმავალ ძირითად გზებს.

ქალაქ პანევეჟისის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ კუზნეცოვის, გენერალ-მაიორ ბაკუნინის, გენერალ-მაიორ ბოგრაკოვის, გენერალ-მაიორ ტოლსტოვის, პოდპოლკოვნიკ ლევის, პოდპოლკოვნიკ ზაშიბალოვის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ ტელეგინის, პოლკოვნიკ საპრიგინის, პოდპოლკოვნიკ ბოჩიკოს, პოდპოლკოვნიკ შვეცოვის, პოდპოლკოვნიკ პუზირევის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ სკორნიაკოვის, პოლკოვნიკ მაძსიმოვის, პოდპოლკოვნიკ ბუბერნატოროვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ პაპინინის, პოლკოვნიკ ალექსანდროვის, პოლკოვნიკ კურბატოვის, პოდპოლკოვნიკ კლუსენის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ რაქენოვის, პოდპოლკოვნიკ სალნიკოვის, მაიორ სარბინის, კაპიტან ვინოგრადოვის მესანგრეებმა; პოლკოვნიკ ჩერნოვის, პოლკოვნიკ რიბკოს მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი პანევეჟისის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „პონევეჟის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 22 ივლისს, 23 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი პანევეჟისი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ პანევეჟისის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 22 ივლისი.

ბრძანებანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ფლოტის ადმირალ ნ. გ. კუზნეცოვის უშაკოვის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში მიღწეული წარმატებებისათვის ფლოტის ადმირალი ნიკოლოზ გერასიმეს-ძე კუზნეცოვი დაჯილდოებულ იქნას უშაკოვის I ხარისხის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წლის 22 ივლისი.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ახალი რაზმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში მთავრდება გამოსაშვები გამოცდები. გამოშვებული იქნება 2,000-მდე ახალგაზრდა სპეციალისტი. მათი უმრავლესობა სამუშაოდ იგზავნება გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების სამინისტროებთან ორგანოებსა და კოლმეურნეობებში. აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ვეტერინარი ექიმებისა და ინჟინერთა მრავალრიცხოვანი ნაწილი გაემგზავრება ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში.

კოლმეურნეობებსა და რაიონულ სამინისტროებთან ორგანოებში იგზავნება აგრეთვე 5.000-მდე სპეციალისტი, რომელნიც გამოცდებს ამთავრებენ ტექნიკუმებსა და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების სკოლებში. (საკ. ინ.).

ხუთშაბათს, 27 ივლისს, საქავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დიდ ქონფერენც-დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 33/35) პროპაგანდისტებისა და ქალაქის ინტელიგენციისათვის შესვლება პ. ა. შარიას მოხსენება თემაზე:

„ჰეგელის ფილოსოფია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეფასებით“.

შესვლა მოსაწვევი ბილეთებით.

დასაწყისი საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

მოქმედი სამხედრო-საზღვაო ფლოტი

კავკასიის დაცვის მონაწილენი (მარცხნიდან მარჯვნივ): ს. ზოსიაშვილი, მ. შენგელია, შ. ბიბიაშვილი, გ. ალექსია, ი. ბილაევი და ჟ. აბრამიშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

1944 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ 1944 წლის ოქტომბრის ძნელ პირობებში კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შარშანდელზე უფრო წარმატებით გაართვეს თავი საგაზაფხულო თესვის ჩატარებას, მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს მინდვრის სამუშაოთა ხარისხი, რაც საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას წელს მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების კარგი მოსავალი, უზრუნველყოფილ იქნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა გეგმების შესრულება, შეიქმნას საჭირო ფონდები და გადიდდეს კოლმეურნეებზე შრომადღეების მისეულობით მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჯაცემა.

გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, მიუხედავად დიდი ზიანისა, რაც ჰიტერმა სოფლის მეურნეობას მიაყენა, შეასრულეს საგაზაფხულო თესვის სახელმწიფო გეგმა, წარმატებით გაართვეს თავი გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს და უზრუნველჰყვეს პირობები ხუთი მოსავლის მიღებად.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სთვლიან, რომ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელი ძალები და საშუალებანი მობილიზებულ და წარმართულ უნდა იქნას იქითკენ, რომ შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, დროულად შეასრულონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა გეგმები და ამით ომის გადაწყვეტ პერიოდში უზრუნველჰყონ წითელი არმია და ჩვენი ქვეყანა სურსათის საკმაო რაოდენობით, ხოლო მრეწველობა — ნედლეულით.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოსავლის აღებას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებას უმნიშვნელოვანეს საერთო-სახალხო საქმედ სთვლიან და შემდეგ ამცნებს უსინდისო ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეწარმეო-მეჯდო ორგანოებს, ყველა კოლმეურნეობას, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს:

თავის დროზე მოამზადონ მოსავლის აღებისათვის ყველა კომბაინი, ტრაქტორები, სამკელი მანქანები, „ლობოგრეიკები“, აგრეთვე ხელის ცელები, ნამგლები და მოსავლის ხელით ასაღები სხვა ინვენტარი;

მოსავლის ასაღებ სამუშაოთა ჩასატარებლად მოამზადონონ კოლმეურნეობებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დამხმარე მეურნეობებში არსებული მთელი მუშახელის მობილიზაცია, სწორად მოაწყონ შრომა მოსავლის აღებაზე. მოსავლის აღების სამუშაოთა ჩატარებაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დასახმარებლად მოახდინონ ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და მუშათა დაბების მოსახლეობის მობილიზაცია;

უზრუნველჰყონ მოსავლის აღების სამუშაოებსა და სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოზიდვაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ცოცხალი ძალის სრულად ჩაბმა და სწორად გამოყენება, ხოლო შედარებით მსუბუქ სამუშაოებზე აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმების ნაკლებპროდუქტიული ძროხებისა და კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა ძროხების გამოყენებაც;

პურეულის აღება რომ არ გაჭიანურდეს, თავიდანვე გამოიყენონ მოსავლის აღებაში კომბაინები და კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული მოსავლის ასაღები ყველა მანქანა და სხვა საშუალებანი მოსავლის ასაღებად;

სავსებით მოამზადონ ლოკომობილები, საღეწი მანქანები, ცხენის სალეწები, მარცვალსაწმენდი მანქანები, ავტომანქანები, ცხენის სატრანსპორტო ინვენტარი, მოსავლის აღების პირველი დღეებიდანვე მოაწყონ დაზვინვა, პურეულის შეუფერხებელი ლეწვა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დაუყოვნებლივ ჩაბარება;

მოაწყონ მოსავლის უსასტიკესი აღრიცხვა და დაცვა აღების, ლეწვისა და გადაზიდვის დროს, არ დაუშვან მოსავლის დაკარგვა და გაფუჭება, გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისადმი დაუდვეთ დამოკიდებულებასთან, მათ განაცალკევებასა და დატაცებასთან;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სათესლე ნაკვეთების მოსავლის თავის დროზე აღებასა და გალეწვას და უზრუნველჰყონ მთელი სათესლე მასალის სრულად შენარჩუნება;

უზრუნველჰყონ, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ და დამხმარე მეურნეობამ აუცილებლად შეასრულოს მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმები, ეს სამუშაო ჩაითვალოს ყველა პარტიული, საბჭოთა, დამამზადებელი, სამეწარმეო-მეჯდო ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და დამხმარე მეურნეობების უმნიშვნელოვანეს სამხედრო-სამეურნეო ამოცანად;

მოაწყონ მოსავლის აღებასა და სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარებაში სამრეწველო საწარმოების, ქალაქის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ყოველმხრივი დახმარება კოლმეურნეობებისა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი—მტს-ებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სარემონტო ბრიგადების გავზავნის, ავტოტრანსპორტის, ცხენების, ჭარბი მოწყობილობის, სათადარიგო ნაწილების, მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყოფის გზით.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დადგინეს:

დაევალოს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს, დამზადებია სახალხო კომისარიატს, დამხმარე მეურნეობების მქონე ყველა სახალხო კომისარიატს, საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს, რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, რაიაღმასკომებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, სასოფლო საბჭოებსა და კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს:

I
მოსავლის აღების მომზადებისა და ჩატარების დარგში

1. მოსავლის აღების დაწყებამდე ჩაატარონ სახელმწიფო შემოწმება, თუ რამდენად მზად არის თვითეული რაიონი, მტს-ი, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მოსავლის ასაღებად, რისთვისაც გამოჰყონ რესპუბლიკების სახკომსაბჭოების, სამხარეო აღმასკომების, საოლქო აღმასკომების, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების, რაიაღმასკომებისა და პარტიის რაიკომების ხელმძღვანელი მუშაკები.

შემოწმების შედეგები კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების მიხედვით განიხილონ რაიაღმასკომებსა და პარტიის რაიკომებში, ხოლო რაიონების მიხედვით — საოლქო აღმასკომებში, სამხარეო აღმასკომებში, რესპუბლიკების სახკომსაბჭოებში, პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტებში და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებში, ამასთან მიიღონ საერო ზომები მოსავლის აღებისათვის მზადებაში გამომეღავნებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

2. უზრუნველჰყონ თვითეულ კოლმეურნეობაში, მტს-სა და საბჭოთა მეურნეობაში, თვითეულ სატრაქტორო და მემინდვრეობის ბრიგადაში მოსავლის აღების სამუშაო გეგმების დროულად შედგენა, ამასთან ამ გეგმებში გაითვალისწინონ, რომ სამუშაოებზე მთლიანად გამოყენებულ იქნას კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში არსებული მთელი მუშახელი, კომბაინები, სამკელი მანქანები, მოსავლის ასაღები სხვა მანქანები, ტრაქტორები და ცოცხალი გამწევი ძალა. მოსავლის აღების სამუშაოებზე გამოსაყენებლად რაც შეიძლება მეტი რაოდენობით გაათავისუფლონ შინაგან მეურნეო სამუშაოებში, დამზმარე საწარმოებსა და დარგებში ჩაბმული მუშაკები.

3. მოსავლის აღების დაწყებამდე დაამთავრონ ყველა კომბაინის, ტრაქტორების, საღეწი მანქანების, ცხენის სალეწების, ლოკომობილების, ავტომანქანების, მოსავლის ასაღები მარტივი მანქანების, ცელების, ნამგლებისა და მოსავლის ასაღები სხვა ინვენტარის რემონტი და სამუშაოდ მომზადება, ამასთან სარემონტო სამუშაოებში ფართოდ ჩაბმან სოფელ ადგილებსა და ქალაქებში არსებული საწარმოები, სახელოსნოები და სამქედლოები. დადგან შეკეთებულ კომბაინებზე სპეციალური მოწყობილობანი კომბაინის მუშაობის დროს მარცვლეულის გადმოსატვირთავად, მარცვალსაკერები, ნამჯის დამბულულებლები და მოწყობილობანი ჩაწოლილი პურეულის ასაღებად, ხოლო ის კომბაინები, რომლებიც მოტორების ან ხედერების უქონლობის გამო არ შეიძლება გამოყენებულ იქნან მოსავლის აღებაზე, შეაკეთონ ლეწვაზე გამოსაყენებლად. პურეულის ცელვაზე გამოსაყენებლად მოაწყონ იმ კომბაინების ხედერები, რომლებსაც მოტორები არა აქვთ.

საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ სახელმწიფო კომისიების მიერ კომბაინების მიღებისას ერთდროულად სწორმოგბდეს კომბაინების სვლაში გამართვა, რომ შედეგების გათვალისწინებითაც უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ რამდენად მზად არის კომბაინი მოსავლის აღებისათვის.

4. დაევალოს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს და სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს:

ა) მოსავლის აღების დაწყებამდე თვითეული კომბაინის აგრეგატი დაკომპლექტონ მომზადებული კომბაინერით, კომბაინერის თანაშემწითა და ტრაქტორისტებით. მოსავლის აღების წინ ჩაატარონ ყველა კომბაინერთან ხანმოკლე მეცადინეობა კომბაინების ექსპლოატაციისა და ტექნიკური მოვლის საკითხებზე;

ბ) მოსავლის აღების დაწყებამდე ნატურით მიიმაგრონ თვითეულ კომბაინს აგრეგატს პურეულის და სხვა კულტურათა ნაკვეთები, თვითეულ მტს-სა და საბჭოთა მეურნეობაში მოსავლის კომბაინებით აღების დამტკიცებული გეგმის შესაბამისად და მოსავლის აღებამდე ხუთი დღით ადრე მიანც მიიყვანონ სამუშაოს ადგილზე ყველა კომბაინი და ტრაქტორი;

გ) მოსავლის აღების ზოული პერიოდის განმავლობაში თვითეული კომბაინის აგრეგატს მიიმაგრონ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა მუდმივი შემადგენლობა, რომლებიც კომბაინს მოუსახურებას გაუწევენ ბაცეულვით, კუთხეების მოცელვით, საწვავის მიზიდვით, მარცვლის გამწენდითა და ხმობით, ამასთან უზრუნველჰყონ ისინი მარცვალსაწმენდი მანქანებით და ცოცხალი გამწევი ძალის საკმაო რაოდენობით;

დ) მოსავლის აღების პერიოდში კომბაინებისა და ტრაქტორების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად თვითეულ მტს-სა და საბჭოთა მეურნეობაში მოაწყონ თითო მოძრავი ავტოსახელოსნო ყოველ 10 კომბაინის აგრეგატზე, ან თითო მოძრავი სახელოსნო ცხენის წევით მომუშავე ყოველ 5 კომბაინის აგრეგატზე.

დააკომპლექტონ მოძრავი სახელოსნოები რემონტზე მომუშავეთა კვალიფიკაციური კადრებით და უზრუნველჰყონ თვითეული კომბაინის აგრეგატი ინსტრუმენტით და ყველაზე უფრო სახმარი სათადარიგო ნაწილებით, რომლებიც საჭიროა მინდვრად ტექნიკური მოვლისა და რემონტის ჩასატარებლად, აგრეთვე საწვავჩასასხმელი ინვენტარითა და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით.

5. დაევალოს მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს ჩაატარონ მოკლევადიანი კურსები საღეწი მანქანების, ნავთის ძრავებისა და ლოკომობილების მემანქანეთა მოსამზადებლად იმ ანგარიშით, რომ ყოველი არსებული საღეწი მანქანა და ძრავი უზრუნველყოფილ იქნას ორი მემანქანით.

6. კოლმეურნეობათა გამგეობებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების დირექტორებმა დაუყოვნებლივ გამოჰყონ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა საჭირო რაოდენობა ცხენით მომუშავე მოსავლის ასაღებ მანქანებზე სამუშაოდ, გამოიყენონ ისინი ძნის ბაგლინვების, სამკილოა — თვითჩამომყრელი მანქანების, „ლობოგრეიკების“ რემონტზე იმ ანგარიშით, რომ მოსავლის აღების დაწყებამდე მოამზადონ ისინი ამ მანქანებზე სამუშაოდ.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

1944 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა [illegible]

(გაგრძელება. დასაწყისი 1-ლ გვერდზე)

გათვალისწინებული ძროხებისა და უშობლების, სულადობა და მოაწყონ მათი სამუშაოდ გახედნა.

ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში და სარეწაო არტელებში მოაწყონ სამუშაოდ გამოსაყენებელი ძროხებისათვის აკაზმულობის (ცალუღების, უღლების, ჭაპნების), აგრეთვე ურმისთვლის საცხის დამზადება.

12. ვინაიდან მოსავლის აღების წარმატებით ჩატარებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ტრაქტორებისა და კომბაინების უზრუნველყოფას საწვავითა და ზეთებით, დაევალოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ნავთის მომარაგების მთავარ სამმართველოს ჩასხმის პუნქტებში და მიმოსვლაში იმ საგანგებო მარშრუტების დაშლა, რომლებიც მოწყობილია სოფლის მეურნეობისათვის ნავთის პროდუქტების საზიდავად.

დაევალოს საოლქო, სამხარეო აღმასკომებს და რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს სასტიკი კონტროლი დაწესონ საგანგებო მარშრუტების დროულად მოწყობასა და მათი ბრუნვის გადიდებაზე, გზაში მათს მოძრაობაზე, ნავთის ბაზებში ნავთის პროდუქტების დროულად გადმოსხმაზე, გადმოსხმის შემდეგ ცისტერნების მარშრუტებად შერკვევაზე და ჩასხმის პუნქტებში დაუყოვნებლივ დაბრუნებაზე.

15. დაწესდეს, რომ შორეული პუნქტებიდან მოსავლის აღებისა და პურეულის გამოზიდვისათვის საჭირო საწვავის ლიმიტები, რომლებიც გამოყოფილია 1944 წლის იანვარსა, აგვისტოსა და სექტემბრისათვის, ძალაშია 1944 წლის მთელი მესამე კვარტალის განმავლობაში.

16. აეკრძალოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ნავთის მომარაგების მთავარ სამმართველოს ჩასხმის პუნქტებში და მიმოსვლაში იმ საგანგებო მარშრუტების დაშლა, რომლებიც მოწყობილია სოფლის მეურნეობისათვის ნავთის პროდუქტების საზიდავად.

დაევალოს საოლქო, სამხარეო აღმასკომებს და რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს სასტიკი კონტროლი დაწესონ საგანგებო მარშრუტების დროულად მოწყობასა და მათი ბრუნვის გადიდებაზე, გზაში მათს მოძრაობაზე, ნავთის ბაზებში ნავთის პროდუქტების დროულად გადმოსხმაზე, გადმოსხმის შემდეგ ცისტერნების მარშრუტებად შერკვევაზე და ჩასხმის პუნქტებში დაუყოვნებლივ დაბრუნებაზე.

15. დაწესდეს, რომ შორეული პუნქტებიდან მოსავლის აღებისა და პურეულის გამოზიდვისათვის საჭირო საწვავის ლიმიტები, რომლებიც გამოყოფილია 1944 წლის იანვარსა, აგვისტოსა და სექტემბრისათვის, ძალაშია 1944 წლის მთელი მესამე კვარტალის განმავლობაში.

16. აეკრძალოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ნავთის მომარაგების მთავარ სამმართველოს, „ნეფტესნაბის“ ადგილობრივ სამმართველოებს, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს და პარტიულ ორგანოებს სხვა მომხმარებლებზე იმ ნავთის პროდუქტების გაცემა, რაც შემოტანილია მოსავლის ასაღებად, პურის გამოსაზიდავად და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩასატარებლად, რომლებიც მოსავლის აღებას ემთხვევა.

დაწესდეს, რომ მოსავლის ასაღებად და პურეულის გამოსაზიდავად შემოტანილი საწვავისა და ზეთების არადანიშნულებისამებრ ხარჯვასა და განიავებაში დამნაშავენი მიცემულ უნდა იქნან პასუხისგებაში.

25. დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, მეკარხლეობის რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს:

ა) უზრუნველყონ მტს-ებსა და კოლმეურნეობებში არსებული ჭარხლის სათხრელად საჭირო ინვენტარის (ჭარხლის ამოსაღებთა, თალების, საზომავების, სათხრელებისა და სხვა ინვენტარის) რემონტი, აგრეთვე ბილობების დამზადება კაგატებად დადგმული ჭარხლის დასაფარავად;

ბ) ჭარხლის ზიდვის დაწყებამდე 5 დღით ადრე დაამთავრონ ძველი საზიდრების, სატრაქტორო ურმების რემონტი და ახლების დამზადება, ავტომანქანების, აგრეთვე ჭარხლის საზიდავად გამოყოფილი ტრაქტორების რემონტი;

გ) არაუგვიანეს 1944 წლის 10 აგვისტოსი დამთავრონ საჭასპინო გზების რემონტი, ხიდების, აგრეთვე ჭარხლის დამამზადებელ პუნქტებთან მისასვლელი გზების შეკეთება;

დ) გამოჰყონ ჭარხლის გასაზიდავად გამწეები ძალის საჭირო რაოდენობა, არ დაუშვან მისი სხვა სამუშაოებზე გამოყენება მთელი ჭარხლის გაზიდვის დამთავრებამდე;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შაქრის ჭარხლის წესიერად დაკაგატებას, როგორც უმნიშვნელოვანეს ზომას, რომელიც უზრუნველყოფს მის საიმედოდ შენახვას ქარხნებში გაზიდვამდე. პასუხისმგებლობა საველე კაგატებად დადგმული შაქრის ჭარხლის შენახვაზე, შაქრის ქარხნების მიმღები პუნქტებისათვის მისი ჩაბარების დამთავრებამდე, დაეკისროს კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს;

ვ) შაქრის ჭარხლის დაკარგვასთან და დატაცებასთან ბრძოლის მიზნით უზრუნველყონ საზომავებით გაზომვის გზით, კოლმეურნეობებში ამოღებული მთელი ჭარხლის ზუსტი აღრიცხვა რგოლების მიხედვით; მოაწყონ ჭარხლის პლანტაციების სადღეღამისო დაცვა და არ დაუშვან ნაჭარხლარებში პირუტყვის ძოვება ჭარხლის გაზიდვის სავსებით დამთავრებამდე.

26. იმ მიზნით, რომ წახალისებულ იქნას შაქრის ჭარხლის ამოღების უსწრაფესი ჩატარება, აგრეთვე ჭარხლის კაგატებად დადგმა, რჩება მიეცეს კოლმეურნეობებს იმ შაქრიდან, რაც კოლმეურნეობებს კონტრაქტაციით და ნატურასაზღაურით ჩაბარებულ ჭარხალში ერგებათ, გამოჰყონ ორმოცი გრამი ყოველ ცენტნერ ამოღებულ და ბუნებრივად ჭარხალზე და 20 გრამი ყოველ ცენტნერ კაგატებად დადგმულ ჭარხალზე იმ კოლმეურნეებს შორის შრომადღეების მიხედვით გასანაწილებლად, რომლებიც შაქრის ჭარხლის ამოღებაზე მუშაობენ. კოლმეურნეობის მიერ ჩაბარებული ჭარხლისათვის მიღებული დანარჩენი შაქარი ნაწილდება შრომადღეებზე, იმ შრომადღეების ჩათვლით, რაც გამომუშავებულია შაქრის ჭარხლის აღებაზე და მისი დადგენილი წესით კაგატებად დადგმაზე.

შაქრის ჭარხლის აღებაზე მომუშავე კოლმეურნეებისათვის შაქრის მიცემა აწარმოონ ყოველ დეკადაში, რისთვისაც შაქრის ქარხნებმა ავანსად აძლიონ კოლმეურნეებს 60 გრამი შაქარი ყოველ ცენტნერ ჩაბარებულ ჭარხალში, შაქრის ქარხნის მუშაობის მეორე დეკადიდან დაწყებული. შაქრის ქარხნებმა კოლმეურნეობებს შაქარზე საბოლოო ანგარიში უნდა ვაუსწორონ მთელი ჭარხლის ჩაბარების შემდეგ.

27. კოლმეურნეობების მიერ არაკონდიციური ჭარხლის მიტანისას მთელი არაკონდიციური ჭარხალი დამამზადებელი პუნქტის მოთხოვნით, გადახარისხებულ იქნას კოლმეურნეობების ძალებით, ხოლო ამის შეუსრულებლობის შემთხვევაში არაკონდიციური ჭარხლის პარტიებზე შაქრის გაცემა მესამედით შეუმცირდეთ დაწესებულ ნორმასთან შედარებით.

28. შაქრის ქარხნებსა და ჭარხლის დამამზადებელ პუნქტებში მიტანილ ყოველ ცენტნერ ჭარხალში მზიდავებს, შოფერებს და ავტომანქანების მტვირთავებს მიეცეთ შაქარი, შაქრის ქარხნების ხარჯზე, შემდეგი რაოდენობით:

(გრამობით)

	მზიდავებს	შოფერებს	მტვირთავებს (ავტომანქანებზე)
6 კილომეტრამდე	10	2	2
6-დან 15 კილომეტრამდე	25	5	3
15 კილომეტრს ზევით	40	8	4

შაქრის აღნიშნული რაოდენობა მზიდავებს ეძლევათ იმ პირობით, რომ ჭარხლის დატვირთვას და გადმოტვირთვას ისინი თვითონ აწარმოებენ.

შაქრის ჭარხლის ზიდვისათვის კუთვნილ შაქარს ქარხნები უშუალოდ მზიდავებს აძლევენ, მათ მიერ ქარხნებსა და ჭარხლის დამამზადებელ პუნქტებში მიზიდული ჭარხლის რაოდენობის შესაბამისად, ფულადი ანაზღაურებიდან კი უშუალოდ მიეცეს მზიდავებს დაწესებული ტარიფის 50 პროცენტი.

29. აეკრძალოს კოლმეურნეობებს იმ შაქრის ხარჯვა არაპირდაპირი დანიშნულებით, რაც მიღებულია იმ კოლმეურნეებზე გასაცემად, რომლებიც ჭარხალზე მუშაობენ.

30. იმ კოლმეურნეებს, მეშებისა და მოსამსახურეებს, წახალისებლად, რომლებიც თავიანთ ძროხებს გამოიყენებენ შაქრის ჭარხლის საზიდავად, ნება დაერთოს შაქრის ქარხნებს, გარდა იმ შაქრისა, რაც ეძლევათ კოლმეურნეობებს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა მიხედვით, მიჰყიდონ კოლმეურნეებს, მეშებისა და მოსამსახურეებს შაქარი დაწესებულ შეფასებათაან ფასში 100 გრამის რაოდენობით თვითეულ ტონა-კილომეტრზე.

დ) ბამბის, საბოჭკოე სელისა და კანაფის აღების დარგში

31. დამთავრდეს ნედლი ბამბის გასული წლების მოსავლის ნაშთების ვაზიდვა დამამზადებელ პუნქტებიდან ქარხნებში არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა და საბოჭკოე სელის ბოჭკოსა და ქერელისა არა უგვიანეს 1944 წლის 5 სექტემბრისა.

დაევალოს სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს და უზბეკეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, თავის დროზე მოამზადონ საჭირო შენობები 1944 წლის ნედლი ბამბის მოსავლის მისაღებად. ახალი მოსავლის ნედლი ბამბის მიღებამდე მთლიანად შეკეთდეს, გაიწმინდოს და დეზინფექცია გაუკეთდეს ბამბის შესანახ ყველა საწყობსა და შენობას. საწყობების შენობათა ნაკლებობა შეიცოს დროებითი ფარდულების მშენებლობით, აგრეთვე სხვა თავისუფალი შენობების გამოყენებით.

32. ბამბის აღებისას უზრუნველყოფილ იქნას მისი ცალ-ცალკე კრეფა ჯიშების მიხედვით, დაშეებულ არ იქნას ჯიშების ერთიმეორეში არევა, დაავადებული კოლოფების არევა სალთან, აგრეთვე დანაკარგები ბამბის აღების, შენახვისა და მინდვრიდან დამამზადებელ პუნქტებზე გადაზიდვისას.

33. საარწყავი მებამბეობის რაიონებში მზრალად ხვნის თავის დროზე ჩატარების მიზნით რჩება მიეცეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არა უგვიანეს 20 ნოემბრისა აღონ მინდვრიდან „გუზა-პაია“, ერთეული გაუშლელი კოლოფებიც რომ იყოს, და შემდეგ გაიწმინდონ ისინი; მთლიანად დამთავრონ ნედლი ბამბის აღება 25 ნოემბრისათვის და მინდვრების გაწმენდა ბამბის ღეროებისაგან 1 დეკემბრისათვის.

34. საბოჭკოე სელისა და კანაფის აღებაზე გამოყენებულ იქნას მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში არსებული ყველა სელსაგლეჯი და კანაფისასაღები მანქანები, რისთვისაც დაწესდეს თვითეული მტს-ისა და კოლმეურნეობისათვის სელისა და კანაფის მანქანითა და ხელით აღების გეგმა, შერჩეულ იქნას მანქანით ასაღებად ისეთი ნაკვეთები, სადაც ღეროები ყველაზე უფრო სწორად დგას. დაწყებულ იქნას სელისა და კანაფის გალეწვა, მთელი მოსავლის აღების მოუცდელად. და დამთავრდეს იგი არაუგვიანეს 10 დღისა მთელი მოსავლის აღების დამთავრების შემდეგ.

35. დამთავრდეს საბოჭკოე სელის მთელი მოსავლის გაფენა და დალბობა არაუგვიანეს 15 სექტემბრისა, და კანაფის დალბობა არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა. რჩება მიეცეს კოლმეურნეობებს, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან კარგი სველნებით, გამოიყენონ სელის დალბობა ცივ წყალში. მეთესლეობის გამოზრდილი ნათესებიდან მიღებული კანაფის დალბობასთან ერთად, გამოყენებულ იქნას ღეროების ზამთარში გაფენა.

36. ნება დაერთოს კოლმეურნეობებს—მისცენ იმ კოლმეურნეებს, რომლებიც მუშაობენ კანაფის გამორჩევაზე, 30 პროცენტი გამორჩეული რაოდენობიდან იმ შრომადღეებზე გასანაწილებლად, რაც გამომუშავებულია კანაფის აღებაზე. კანაფის გაცემა მოხდეს მისი გამორჩევისთანავე.

37. ძალაში დარჩეს 1944-1945 წლებისთვის სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 11 იანვრის დადგენილება № 29 „1941 წლის მოსავლის სელისა და კანაფის პირველადი დამუშავებისა და დამზადების სტანდარტების შესახებ“, ე. ი. ნება დაერთოს სელისა და კანაფის ნათესების მეპატრონეობებს დაეწესონ იმ კოლმეურნეებისათვის, რომლებიც მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ გამომუშავების ნორმებს სელისა და კანაფის პირველადი დამუშავებისა და დახარისხების დარგში, დამატებითი ანაზღაურება სასურსათო მარცვლეულით და ფულად მათთვის დარიცხული შრომადღეების ზევით შემდეგი რაოდენობით:

ა) სელისა და კანაფის ყოველ 10 კილოგრამ გამომუშავებულ და სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ ბოჭკოსათვის მისცენ კოლმეურნეებს 2 კილოგრამი მარცვალი და 2 მანეთი ფულად;

ბ) ყოველ 100 კილოგრამ დახარისხებულ, გაშრობილ და ქარხნებისათვის ჩაბარებულ დამბალ სელსა და კანაფზე—1 კილოგრამი მარცვალი და 1 მანეთი ფულად;

გ) ბეგმის ზევით სახელმწიფო შესყიდვის წესით სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ მთელ ბოჭკოსა და დამბალ სელსა და კანაფზე დამატებით მისცენ კოლმეურნეებს, რომლებიც მუშაობენ ამ კულტურების თავდაპირველ დამუშავებაზე, კოლმეურნეობის მიერ მიღებული პრემია-დანამატის 40 პროცენტი.

აღნიშნული ნატურალური და ფულადი ანაზღაურება მოხდეს სახელმწიფოსათვის სელისა და კანაფის გამომუშავებული პროდუქციის ჩაბარებისთანავე.

ე) თამბაქოსა და წეკოს აღების დარგში

38. თამბაქოსა და წეკოს აღება მოხდეს მათი სრული ტექნიკური სიმწიფის მდგომარეობაში, დაშვებულ არ იქნას გადამწიფება, აგრეთვე თამბაქოსა და წეკოს მცენარეთა დაუმწიფებელი ფოთლების მოკრეფა. თამბაქოს პრეწველობის ნედლეული რესურსების გასადიდებლად ჩატარდეს ღეროს წაჭრილი წვერების იმ ზედმეტი ნამხრევების გასმობა, რომლებიც ჩამოეცლება მცენარეებს მათი მინდვრად მოვლის დროს, ხოლო ადრეულ-ვადებში დარგულ ფართობებზე უზრუნველყოფილ იქნას წეკოსა და თამბაქოს მეორე მოსავლის მიღება.

39. დაწესდეს თამბაქოსა და წეკოს აღების დამთავრების შემდეგი ვადები: ა) თამბაქოსი —ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, ალტაისა და ხაბაროვსკის მხარეებში, სტალინგრადისა და ვორონეჟის ოლქებში—არაუგვიანეს 20 სექტემბრისა; უზბეკეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, უკრაინის სს რესპუბლიკებში, ყირიმის, კრასნოდარის, ალტაის, ბაშკირიის, ბურიატ-მონღოლეთის, ჩიტის, სვერდლოვსკისა და ბაშკირეთის ასსრ დანარჩენ რაიონებში—15 სექტემბრისა; ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და ყაზახეთის სს რესპუბლიკებში, ალტაის, ბაშკირიის, ბურიატ-მონღოლეთის, ჩიტის, სვერდლოვსკისა და ბაშკირეთის ასსრ დანარჩენ რაიონებში—10 ოქტომბრისა; ბ) წეკოს—ალტაის, ბაშკირიის, ბურიატ-მონღოლეთის, ჩიტის, სვერდლოვსკისა და ბაშკირეთის ასსრ რესპუბლიკებში—15 ოქტომბრისა; ალტაის, ბაშკირიის, ბურიატ-მონღოლეთის, ჩიტის, სვერდლოვსკისა და ბაშკირეთის ასსრ დანარჩენ რაიონებში—20 ოქტომბრისა; ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და ყაზახეთის სს რესპუბლიკებში—25 ოქტომბრისა; ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და ყაზახეთის სს რესპუბლიკებში—1 ნოემბერი.

ვ) სათესლე ბალახების აღების დარგში

41. ბალახების თესლის დაცვენისა და დაყაყარგების დაუშვებლობის მიზნით უზრუნველყოფილ იქნას სათესლე სამყურის, იონჯის, ტიმოთელას და კაპუეტას აღება არაუმეტეს, ვიდრე 5 დღის განმავლობაში, ხოლო სათესლე ბალახების გალეწვა და გამოფშვნა დამთავრდეს 20 დღის განმავლობაში თიბვის დაწყებიდან.

42. უზრუნველყოფილ იქნას ბალახების თესლის გაწმენდა და მისი დაყვანა სათეს კონდიციებამდე უშუალოდ ვალეწვისა და გამოფშვნის შემდეგ, დაშვებულ არ იქნას ამ სამუშაოთა დამორიგორება.

43. დაევალოს დამზადებათა სახალხო კომისარიატს, წინათ დადგენილი წესის შესაბამისად, ჩაუთვალოს კოლმეურნეობებს სახელმწიფოსათვის მათ მიერ ჩაბარებული ბალახების თესლი სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების ანგარიშში შემდეგი ეკვივალენტების მიხედვით:

ა) სამყურის, იონჯის, კაპუეტის, ხათითურას, კოინდარის, მელაკუდას, წითელი წივანას და მდელო-სოძოვრების დანარჩენი ბალახების 1 ცენტნერი გაყიდული თესლი 4 ცენტნერ მარცვლეულ კულტურებად;

ბ) ტიმოთელას, ამერიკული ჭანგას, მდელოს წივანას 1 ცენტნერი გაყიდული თესლი 3 ცენტნერ მარცვლეულ კულტურებად;

გ) ცერცველას, ესპარცეტის, სუდანის ბალასის, ქვრიმის, აფრიკული ფეტვისა და ჩიტფეხას 1 ცენტნერი გაყიდული თესლი 2 ცენტნერ მარცვლეულ კულტურებად;

დ) მდელოს თიმოქასრის, თეთრი ნამიკრეფის, შვედური სამყურის, თეთრი სამყურის 1 ცენტნერი გაყიდული თესლი 6 ცენტნერ მარცვლეულ კულტურებად.

კოლმეურნეობებს, რომლებიც სახელმწიფოზე ჰყიდიან სამყურის, იონჯის, კაპუეტის, ტიმოთელას, ესპარცეტისა და ცერცველას თესლს მარცვლეული კულტურების სავალდებულო ჩაბარების გეგმების შესრულების, სათესლე სესხის დაბრუნების, სათესლე ფონდების გამოყოფისა და მტს-ების მუშაობის ანაზღაურების შემდეგ, უფლება აქვთ მიიღონ „ზაგოტზერნის“ პუნქტებიდან მარცვლეული კულტურების თესლი ზემოთ დაწესებული ეკვივალენტის მიხედვით. მარცვლეული კულტურების თესლი კოლმეურნეობებს მიეცემიან ნაღდ ანგარიშზე დასამზადებელ ფასებში, ცენტნერზე 2 მანეთის დარიცხვით („ზაგოტზერნის“ ხარჯების დასაფარავად).

44. იმის გამო, რომ მარცვლეულისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სხვა პროდუქციის დატაცება უმძიმეს დანაშაულს წარმოადგენს, სსრ კავშირის სახალხო კომისარიატ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სასამართლო ორგანოებს დაავალეს სასტიკად დასჯონ პირისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამტაცებლები, გამოიყენონ საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების დაცვის შესახებ 1932 წლის 7 აგვისტოს კანონიც კ.

II

მოსავლის აღებისას შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების დარგში

1. დაწესდეს მოსავლის აღების სამუშაოებში სავალდებულო მონაწილეობა კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე მცხოვრები მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობისა—კოლმეურნეებისა და მათი ოჯახის წევრებისა, საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისა, აგრეთვე სხვა შრომისუნარიანი მოსახლეობისა კოლმეურნეობების არაწევრთაგან, რომელიც არ მუშაობს მრეწველობაში და ტრანსპორტზე—როგორც მოზრდილებისა, ისე 14 წლისა და მეტი ასაკის მოზარდებისა.

დაწესდეს 1944 წლის მოსავლის აღების პერიოდისათვის სავალდებულო გამოსვლა სამუშაოდ 14 წლისა და უფრო მეტი ხნის ყველა შრომისუნარიანი მოზრდილი კოლმეურნისა, იმის მიუხედავად, გამომუშავებული აქვთ თუ არა მათ შრომადღეების მინიმუმი.

2. მოსავლის აღების სამუშაოებში იმ კოლმეურნე ქალებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშა ქალების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, რომლებსაც ბავშვები ჰყავთ, და მოსავლის აღებაზე მომუშავეთა სამუშაო დროის დაზოგვის უზრუნველყოფის მიზნით დაევალოს კოლმეურნეობების ვამგეობებსა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს მოსავლის აღების პერიოდისათვის მოაწყონ საბავშვო ბაგები, ბაღები და მოიდნები და საველე ბანაკები კარმიდამის დაშორებულ ნაკვეთებზე.

3. წინადადება მიეცეს კოლმეურნეობებს დაწესონ, რომ არასაპატიო მიზეზების გამო მოსავლის აღების სამუშაოთა შესრულებაზე უარის თქმისათვის შრომისუნარიანი [illegible] ირიანი კოლმეურნეები, კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მუ-17 მუხლის შესაბამისად, დაჯარიმდებიან შრომადღეებით და წარიმოვეთ ნატურალური ავანსების მიღების უფლება.

4. დაევალოს რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, სამხარეო, საოლქო და რაიონულ აღმასკომებს დაწესონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დამატებითი მოთხოვნილება მუშახელზე მოსავლის აღების პერიოდისათვის და მოსავლის აღების სამუშაოებში მობილიზაციის წესით ჩაბარ ქალაქებისა და სასოფლო ადგილების შრომისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაციის „სამეურნეო საჭიროებათათვის, ხოლო დაწესებული თვიური ნორმის ზევით ვაზიდულ მარცვლეულისათვის მიეცეს მარცვლეული ორმაგი რაოდენობით.

საბჭოთა მეურნეობებში სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მუშა-მოსამსახურეთა ძროხებით გამოზიდვაზე მუშაობა ანაზღაურებულ იქნას ორმაგად იმ ანაზღაურებასთან შედარებით, რაც დაწესებულია ამავე სამუშაოების ცხენებით შესრულებისათვის, აგრეთვე მიეცეთ დამატებით, წახალისების წესით, მარცვლეული იმ რაოდენობითა და წესით, რაც ამ პუნქტით დაწესებულია იმ კოლმეურნეთათვის, რომელთაც მარცვლეული თავიანთი ძროხებით გააქვთ.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ა) მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების მოსავლის აღების დარგში

17. მოსავლის აღების დროულად და უდანაკარგოდ ჩატარების მიზნით უზრუნველყოფილ იქნას კომბაინების, სამკელი მანქანების, „ლობოგრეიკებისა“ და მოსავლის ასაღები სხვა მანქანების შეუფერხებელი მუშაობა, აგრეთვე მოეწყოს მოსავლის აღება ხელით.

18. სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების ყველა საბჭოთა, პარტიული და სამეწარმეო-მექანიკურ ორგანოებისაგან, მტს-ებისა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან მოითხოვენ მოაწყონ ყოველდღიური ბრძოლა ნაკარგებთან, მოსავლის უსასტიკესი დაცვა მომკამდე, აღების, გალეწვის, გადაზიდვისა და შენახვის დროს.

ამ მიზნით:

ა) მარტივი მანქანებითა და ხელით პურეულის აღებისთანავე მოაწყონ ძნებად კონვა და ბულულებად, ჩვეულებრივ, ძრიებად დადგმა, აგრეთვე მოაწყონ თავთავის გულმოდგინედ აკრეფა და ამ სამუშაოში ფართოდ ჩაბან, მოზრდილ მოსახლეობასთან ერთად—მოსწავლენი. უწესივრობის შედეგად კომბაინების აძულებითი გაკაფვისას იმ მინდვრებზე, რომლებზეც მოსავლის აღება ვათვალისწინებულია კომბაინებით, პურეული აიღონ მარტივი მანქანებითა და ხელით, რათა არ დაუშვან მარცვლის ჩაკვეთვა;

ბ) მოსავლის ლეწვას შეუდგნენ არა უგვიანეს 5 დღისა მკის დაწყების შემდეგ და არ დაუშვან მასობრივი ლეწვის გაჩაღების დაგვიანება. მოაწყონ მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა რთული და ცხენით მომუშავე სალეწი მანქანის სადღეღამისო მუშაობა.

იმ შემთხვევაში, თუ კოლმეურნეობაში არ ჰყოფნით მუშახელი და გამწეები ძალა ლეწვისა და დაზვინვის ერთდროულად ჩასატარებლად, წინადადება მიეცეს კოლმეურნეობებს მას შემდეგ, რაც პურეული გაშრება, ჩაატარონ მთელი მომკალი პურეული დაუყოვნებლივ დაზვინვა, რაც დაფარავთ არა უგვიანეს ვიდრე მე-10—მე-15 დღეს მკის დამთავრების შემდეგ;

გ) დაწესონ, რომ აღებულ ნაკვეთებს აუცილებლად იბარებენ კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისაგან: კოლმეურნეობებში — მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირი, საბჭოთა მეურნეობებში კი—განყოფილების მმართველი დღის განმავლობაში, კოლმეურნეობის თავმჯდომარე და საბჭოთა მეურნეობის დირექტორი—ხუთი დღის ვადაში. ჩაბარებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ზოსავლის აღების ხარისხს, არ იქნას დაშვებული მინდვრად თავთავის დატოვება და დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზომები ბამბეულ-ბალბეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

დ) უზრუნველჰყონ კომბაინებიდან და სალეწი მანქანებიდან მიღებული მთელი ტენიანი მარცვლის დაუყოვნებლივ გაშრობა ალოებისა და სახრჩობელზე, ამასთან არ დაუშვან მარცვლის ჩახურება გროვებში;

ე) მომკამდე, აგრეთვე მომკილი და ბულულებად და ზვინებად დადგმული პურეულის დასაცავად გამოჰყონ მეველეები. პურეულის შემოსვლამდე 10-15 დღით ადრე მაღნ. კალოებზე დააყენონ დარაჯების ორი ცვლა. დაწესდეს, რომ მეველეები და დარაჯები ზოველი დღე-ღამის განმავლობაში სდარაჯობენ პურეულს და უშუალოდ ემორჩილებიან კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, საბჭოთა მეურნეობის განყოფილების, ოერმის მმართველს. პურეულის დაცვაში გამოყენებულ იქნას ახალგაზრდობა, მოეწყოს კომკავშირული საგუშაგოები მოსავლის დასაცავად;

ვ) დაწესონ მიღებული მოსავლის უსასტიკესი აღრიცხვა მისი აღების ყველა სტადიაში. აწარმოონ პურის საყალდებულო აწონვა სალიწ მანქანებთან, კომბაინებთან და ბეღლებში მისი მიღების დროს, უზრუნველჰყონ, რომ ალოებიდან ბეღლებსა და შესანახ პუნქტებში პურეულს თან ახლდეს ზედნადები მზიდავის ვვარის აღნიშვნით, გაგზავნილი პურის ზუსტი რაოდენობის ჩვენებით და ჯიშისა და კულტურის დასახელებით.

19. დაევალოს რაიაღმასკომების, თავმჯდომარეებს და პარტიის რაიკომების მდივნებს უზრუნველჰყონ კონტროლი მინდვრად, კალოებზე, ლეწვისა და გადაზიდვის დროს პურის შენახვისა და აღრიცხვის. უზრუნველჰყონ მწონავების, მეკუმბნავეების, დარაჯების, მეველეებისა და პურის ზიდვაში ოფროსი მეალალეების შორჩევა ჯამოცდილ კოლმეურნეობა.

ბ) კარტოფილისა და ბოსტნეულის აღების დარგში

20. კარტოფილისა და ბოსტნეულის აღება დამთავრდეს შემოდგომის ყინვების დადგომამდე. უზრუნველყოფილ იქნას დღის განმავლობაში ამოთხრილი კარტოფილისა და ჩაკრეფილი ბოსტნეულის ყოველდღიური შენახვა. კარტოფილის აღების შემდეგ ჩატარდეს აღებული ნაკვეთების ფარცხვა და, როგორც წესი, შემდეგი გადახვნა და დარჩენილი ტუბერების აკრეფა.

21. ამოთხრილი კარტოფილი და აკრეფილი ბოსტნეული ყოველდღე გაშრობის შემდეგ მიზიდულ იქნას საცავებში ან დაწყობილ იქნას მინდვრად დროებით გროვებად, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას დამამზადებელ პუნქტებში მათი გაზიდვა ან ხანგრძლივად შესანახ გროვებად დაწყობა ყინვების დადგომამდე. ფართოდ გამოყენებულ იქნას სათესლე ბოსტნეულის დეროების შერჩევითი შერჩევა მათი მოშწიფების კვალობაზე და მათი შრობის დამთავრება ფარდულებში, ამასთან დაშვებულ არ იქნას თესლის დაკარგვა გადაზიდვის დროს.

22. მოეწყოს დამზადების ადგილებში კარტოფილისა და ბოსტნეულის მასობრივი შრობა დამამზადებელი და საკავშირო ორგანიზაციების საშრობებში, აგრეთვე კოლმეურნეობებში და კოლმეურნეებთან.

გ) შაქრის ჭარხლის აღების დარგში

23. სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სამეწარმეო-მექანიკურ, საბჭოთა და პარტიული ორგანოების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ყურადღებას მიაქცევენ იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მიმდინარე წელს შაქრის ჭარხლის დროულად და უდანაკარგოდ აღებას. ამ მიზნით დაწესდეს საფაბრიკო შაქრის ჭარხლის მასობრივი ამოღების დაწყება 10 სექტემბერს, გარდა უზბეკეთისა, ყაზახეთისა და ყირგიზეთის სს რესპუბლიკებისა, რომლებისთვისაც ამოღების დაწყება დაწესდეს 20-25 აგვისტოს.

დაევალოს მეკარხლეობის რაიონების საოლქო (სამხარეო) აღმასკომებს და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს დაუწესონ ცალკეულ რაიონებსა და კოლმეურნეობებში შაქრის ჭარხლის ამოღების დაწყების ვადები ჭარხლის მდგომარეობის მიხედვით, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ შაქრის ქარხნების ამუშავების დაწყებისათვის ქარხნებისა და ჭარხლის დამამზადებელი პუნქტების ტერიტორიაზე იყოს ჭარხლის სულ მცირე ხუთი დღის მარაგი, ხოლო შემდეგ უზრუნველყოფილი იყოს შაქრის ქარხნების შეუფერხებელი დატვირთვა ჭარხლით.

24. უზრუნველყოფილ იქნას შაქრის ჭარხლის ამოღებისა და გაზიდვის დამთავრება შემდეგ ვადებში:

	ამოღება	გაზიდვა
უზბეკეთის, ყირგიზეთისა და ყაზახეთის სს რესპუბლიკებში	15.XI	15.XII
საქართველოს, სომხეთის სს რესპუბლიკებში და კრასნოდარის მხარეში	5.XI	25.XI
კრასნოიარსკისა და ალტაის მხარეების მდინარისპირის რაიონებში	1.X	20.X
კრასნოიარსკისა და ალტაის მხარეების, კ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

1944 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღავზადებათა შესახებ

(დასასრული. დასაწყისი 1-ლ და მე-2 გვერდზე).

14. დაწესდეს მოსავლის აღების დროისათვის და დამზადებათა გეგმის შესრულებამდე მარცვლეულის, მზესუმზირის, კარტოფილისა ბოსტნეულის ანარიცხები კოლმეურნეობათა ავანსების მისაცემად და შინასამეურნეო საჭიროებათათვის შემდეგი ოდენობით: მარცვლეული—15 პროცენტი, ბრინჯი—10 პროცენტი, მზესუმზირა—5 პროცენტი, კარტოფილი და ბოსტნეული—15 პროცენტი სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტებში ამ კულტურების პროდუქციის ფაქტიურად ჩაბარებული რაოდენობიდან.

მოეწყოს ავანსების გაცემისა და კოლმეურნეობების შინასამეურნეო საჭიროებათათვის პროდუქტების ანარიცხების დაწესებული ნორმების დაცვის სასტიკი კონტროლი, ამასთან აღიკვეთოს ყოველგვარი ფაქტები მათი დადგენილი ნორმების გასაადიდებლად და ამნაშავენი მიეცემულ იქნან პასუხისგებაში, როგორც პურის გამნიავებლები.

15. შეიცვალოს მტს-ებში სელისა და კანაფის ასაღებ მანქანებზე, სამყურისა და ინაფის თესლის გასალეწ და გამოსაფშვნელ მანქანებზე და სელისა და კანაფის საჩეჩ მანქანებზე მომუშავე მემანქანეთა შრომის ანაზღაურების არსებული წესი და დაფუძნდეთ მათ შრომადღეებით ანაზღაურება არსებული ნორმების შესრულებისათვის მათთან ერთად ამ სამუშაოებზე მომუშავე ტრაქტორისტთა მომუშავეების ოდენობით და გავრცელდეს ზეგანაკვეთური სამუშაოებზე. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს 1944 წლის 1 აგვისტოდან.

16. ნება დაერთოს კოლმეურნეობათა გამგეობებს მისცენ კოლმეურნეობათა გამწევი ცხენები მომუშავე კოლმეურნეებს კომბაინით ღების შემდეგ შეგროვებული და კარმიდამოზე მიზღვული ან დაზვინული ჩალის ყოველი მეხუთედი ნაწილი. კოლმეურნეებს, რომლებიც თავიანთი ძროხებით მუშობენ კომბაინით აღების შემდეგ ჩალის ზიდვაზე ან დაზვინვაზე, მიეცეთ მინდვრიდან გაზიდული ან დაზვინული ჩალის ყოველი მესამედი ნაწილი.

17. დატოვებულ იქნას 1944 წლისათვის 1943 წელს მოქმედი წესი საბჭოთა მეურნეობების იმ ტრაქტორისტებისა და მტს-ების

III

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებათა დარგში

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დამზადებათა სახალხო კომისარიატს, საოლქო და სამხარეო აღმასკომებს, რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, რაიაღმასკომებსა და პარტიის რაიკომებს დაავალეს:

1. მოსავლის აღების პირველივე დღეებიდან მოაწყონ მარცვლეულის, ტექნიკური კულტურებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოზიდვა სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტებში, რისთვისაც საჭირო პროდუქციის ვიმეჩაყონ ეოცსალი ძალა და ავტომანქანები, აკრძალონ მათი რაიმე სხვა სამუშაოზე გამოყენება თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ დამზადებათა გეგმის მთლიანად შესრულებამდე.

2. უზრუნველჰყონ, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩაბარონ სავსებით კეთილხარისხოვანი მარცვლეული, ბრინჯი, მზესუმზირა და სხვა ზეთოვანი კულტურები, მოაწყონ მარცვლეულის, განსაკუთრებით კომბაინებიდან მიღებული მარცვლეულის, გულმოდგინედ გაწმენდა, აგრეთვე ნედლი და ტენიანი მარცვლეულის დროზე გაშრობა, აკრძალოს დამამზადებელ პუნქტებსა და ქარხნებში ისეთი ნედლი ბამბის მიღება და ჩაბარება, რომლის ტენიანობა დაწესებულ სტანდარტს აღემატება.

3. დაწესდეს, რომ მარცვლეულის, ზეთოვანი კულტურებისა და კარტოფილის პირველი პარტიებიდან, რომლებსაც სახელმწიფოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აბარებენ, პირველ რიგში იფარება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსაგან მიღებული სესხები, აგრეთვე კოლმეურნეობათა წარსული წლების დავალიანება სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ის მუშაობის ნატურასაზღაურის ხაზით.

შემდეგ კოლმეურნეობების მიერ ჩაბარებული მარცვლეულის, ზეთოვანი კულტურებისა და კარტოფილის თვითეული პარტიიდან ნაწილადაო ჩაირიცხება სავალდებულო ჩაბარებად ანგარიშში, ხოლო მეორე ნაწილადაო — მტს-ის მუშაობის ნატურასაზღაურის ანგარიშში.

4. დაწესდეს, რომ სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ის მუშაობის ნატურასაზღაურის (გარდა ლეწვისა) ხაზით კოლმეურნეობების მიერ მარცვლეულის, მზესუმზირისა და სხვა ზეთოვანი კულტურები, მოაწყონ მარცვლეულის, განსაკუთრებით კომბაინებიდან მიღებული მარცვლეულის, გულმოდგინედ გაწმენდა, აგრეთვე ნედლი და ტენიანი მარცვლეულის დროზე გაშრობა, აკრძალოს დამამზადებელ პუნქტებსა და ქარხნებში ისეთი ნედლი ბამბის მიღება და ჩაბარება, რომლის ტენიანობა დაწესებულ სტანდარტს აღემატება.

3. დაწესდეს, რომ მარცვლეულის, ზეთოვანი კულტურებისა და კარტოფილის პირველი პარტიებიდან, რომლებსაც სახელმწიფოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აბარებენ, პირველ რიგში იფარება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსაგან მიღებული სესხები, აგრეთვე კოლმეურნეობათა წარსული წლების დავალიანება სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ის მუშაობის ნატურასაზღაურის ხაზით.

შემდეგ კოლმეურნეობების მიერ ჩაბარებული მარცვლეულის, ზეთოვანი კულტურებისა და კარტოფილის თვითეული პარტიიდან ნაწილადაო ჩაირიცხება სავალდებულო ჩაბარებად ანგარიშში, ხოლო მეორე ნაწილადაო — მტს-ის მუშაობის ნატურასაზღაურის ანგარიშში.

4. დაწესდეს, რომ სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ის მუშაობის ნატურასაზღაურის (გარდა ლეწვისა) ხაზით კოლმეურნეობების მიერ მარცვლეულის, მზესუმზირისა და სხვა ზეთოვანი კულტურების ჩაბარება, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სავალდებულო ჩაბარება უნდა სწარმოებდეს კულტურების მიხედვით მიცემული ანგარიშების შესრულებისათვის მათთან ერთად ამ სამუშაოებზე მომუშავე ტრაქტორისტთა მომუშეების ოდენობით და გავრცელდეს ზეგანაკვეთური სამუშაოებზე. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს 1944 წლის 1 აგვისტოდან.

5. ეცნობოს ყველა კოლმეურნეობას, რომ ამ-ის შემდეგ, 1944 წლიდან, ეს ბრძანება ძალაში შევიდეს 1944 წლის 1 აგვისტოდან.

6. ეცნობოს ყველა კოლმეურნეობას, ინდივიდუალურ მეურნეებს, ინდივიდუალურ ოჯახებს, ინდივიდუალურ ოჯახებს, ინდივიდუალურ ოჯახ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

22 ივლისის ოპერაციული ცნობა

22 ივლისის განმავლობაში კარელიის ფრონტზე ქალაქ სუოიარვის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მათ შორის იზიანვარა, პახკალამპი, ლონგონვარა, ვარპავარა, ლიუსვარა, ლონგონვარის რაიონში ჩვენი ჯარები მიადგნენ ჩვენს სახელმწიფო საზღვარს ფინეთთან.

ბალტიისპირეთის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, დაიკავეს ლატვიის სს რესპუბლიკის სამაზრო ცენტრი და სარკინიგზო კვანძი იაუნლატგალე, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 150-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დასახლებული პუნქტები აბიჟა, ველიკოე სელო, ჩერნიაკოვიცი, კრასტი, გოლუბოე დოკატინო, იავანოვა, ელისეევო, იუდინო, ოკტიხოვო, ამფიცეროვა, ნოსოვა, აუგუპილსი, პოდლიპიე და რკინიგზის სადგურები ჩერეხა, სტრემუტკა, რიტუპე, აბრენე, ნოსოვა, ვავერესი. ჩვენი ჯარები შეიჭრნენ ქალაქ ფსკოვში, სადაც ბრძოლები გაჩაღეს ქუჩებში.

დვინსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ წარმატებითს შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს ქალაქი კრასლავა, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები რუნდენი, გუკმუიჟა, დაგდა, არტემოვკა, ზჩედრატი, ლემეზევკა და რკინიგზის სადგური კრასლავა.

ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, ქვეითი ჯარისა და სატანკო შენაერთების სწრაფი იერიშის შედეგად, 22 ივლისს დაიკავეს ქალაქი და კომუნიკაციების დიდი კვანძი პანევეჟისი (პონევეჟი), აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 300-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები სკაპიშკისი, კუპიშკისი, სუბაჩუსი, სუბოჩი, სურდეგისი, ტროშკუნი, კურვლი, მეჟიშკი, ველჟი და რკინიგზის სადგურები კუპიშკისი, სუბაჩუსი, პეტროკი, ბიგაილიაი, ტარუშკოსი, რაგუველე, სურდეგისი, ვაუუოკენი, ტროშკუნი, პაგოინისი.

ქალაქ ბროდნოს სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს ბელოსტოკის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი ქრინკი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 80-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბარანოვო, ინდურა, კუზნიცა, ოდელსკი, მიხაილოვო, ნარევი და რკინიგზის სადგურები კუზნიცა, ვალილი. ჩვენს ჯარებს ტყვედ დანებდა გერმანელთა 110-ე ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი კუროვსკი.

ბრესტის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას ავითარებდნენ, დაიკავეს ბრესტის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი სემიატიჩი, ქალაქი კამენეცი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბოცკი, ჟურომბიჩი, მოშჩონა-კაზენნაია, ვოლკა, დემეინინჩი, ნოვოსალი, სტარადენი (16 კილომეტრზე ქალაქ ბრესტის სამხრეთით), ლეკლეევკა, ტომაშოვკა და რკინიგზის სადგურები კოდენი, დუბიცა, დო